შუახევის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

წარმოგიდგენთ, ინფორმაციას მ/წლის 24აპრილის, მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

დანართი: ოქმი N 4; 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს თავმჯდომარე: ბეჟან დიასამიძე.

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს
მერიის
№ 2721/07
«03» 05 2019 წ.
ფურცელი 6 ძირითადი 1 დანართი 5

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს სხდომის

ოქმი N4

24.04. 2019 წელი

სხდომას 17 წევრიდან ესწრებოდნენ:

1. ბეჟან დიასამიძე;
2. ნათელა ბახტაძე;
3. შაქრო ხიმშიაშვილი;
4. მზია გოგაძე;
5. რომან დუმბაძე;
6. მერაბ მაკარაძე;
7. გელა აბაშიძე;
8. ფრიდონ ფუტკარაძე;
9. პაატა ქათამაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ფრიდონ ფუტკარაძე, მერის მოადგილეები: ბატონი ომარ ტაკიძე და ქალბატონი რუსუდან შავაძე, შუახევის სოციალური სერვისების ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი მერაბ დავითაძე, მერიის ინფრასრუქტურის სამსახურის უფროსი დავით დავითაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სოციალური სერვისების ანგარიშის მოსმენა

/ მომხსენებელი: მერაბ დავითაძე - სოციალური სერვისების ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი/

2. ინფორმაცია საგაზაფხულო იალაღებზე ელ. ენერგიით მომარაგების მდგომარეობის შესახებ

/ მომხსენებელი: დავით დავითაძე - მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

3. მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ინფრასტრუქტურის დარგში პრიორიტეტების შესახებ

/მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე - მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე/

4. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე /

მოისმინეს: 1. . სოციალური სერვისების ანგარიშის მოსმენა

/ მომხსენებელი: მერაბ დავითაძე - სოციალური სერვისების ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი/

მომხსენებელმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარუდგინა ანგარიში სოციალური სერვისების ცენტრის [illegible]ობის შესახებ. სოციალური სერვისების ცენტრის საშტატო ერთეული შეადგენს 5 თანამშრომელს, ხოლო ხელშეკრულებით დასაქმებულია 9 თანამშრომელი. წლიური ბიუჯეტი შეადგენს 290700 ლარს. აქედან შტატით მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 30600 ლარს.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 40300 ლარს, ხოლო სხვადასხვა ხარჯებში გათვალისწინებულია 93220 ლარი.

სოციალური უზრუნველყოფა ფულადი ფორმით 126500 ლარი.

სხვა ხარჯი (მოსაკრებელი) 80 ლარი.

სერვისცენტრი სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს 12 ამბულატორიის ექიმს და ასევე 39 თემის სამედიცინო პუნქტებში შემავალ ექთნებს.

საკუთრებაში გაგვაჩნია 8 ერთეული ავტომობილი ნივა ვაზ 21214 ხიჭაურის N2 და უჩამბის N1 ამბულატორიას ემსახურება იჯარით აყვანილი კერძო საკუთრებაში არსებული ავტომობილი. ავტომომსახურების გარეშე მხოლოდ დაბის ამბულატორიაა.

სერვისცენტრში მიმდინარე წელს შემოსულია 309 კორესპონდენცია, რომლებსაც კანონით დადგენილ ვადებში გაეცა პასუხი. ასევე სხვადასხვა ინსტანციაში გაგზავნილი გვაქვს 27 კორესპონდენცია.

2019 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან გაფორმებული გვაქვს 58 ხელშეკრულება. აქედან სამ შემთხვევაში ვისარგებლეთ კონსოლიდირებული ტენდერით, ერთი ტენდერი გამოვაცხადეთ ტრანსპორტის მომსახურებაზე. სხვა შემთხვევებში ვიმოქმედეთ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. თ.ს.პ-ში შეტანილი გვაქვს ორი კვარტლის სამედიცინო საგნები და მედიკამენტები, ამბულატორიის ექიმებისათვის შევიძინეთ 5 თვის „ექიმის ჩანთით“ გათვალისწინებული სამედიცინო საგნები და მედიკამენტები.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ფრიდონ ფუტკარაძემ და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ისაუბრეს სოფლების სამედიცინო პუნქტებისა და სოფლის ექიმების მუშაობაში არსებულ პრობლემებზე, მოსახლეობის საჭიროებებსა და მინიმალური პირობების შექმნის აუცილებლობაზე. სოციალური სერვისების ხელმძღვანელს მერაბ დავითაძეს სთხოვეს გააკონტროლოს სოფლის ექიმების მუშაობა, ასევე მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მათ ტრანსპორტირებაში, მოამარაგონ მედიკამენტებით.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული მერაბ დავითაძის ინფორმაცია სოციალური სერვისების მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: 2. ინფორმაცია საგაზაფხულო იალაღებზე ელ. ენერგიით მომარაგების მდგომარეობის შესახებ

/ მომხსენებელი: დავით დავითაძე - მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმოუდგინა ინფორმაცია სამთო იალაღების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თაობაზე. მერიამ ამ მიმართულებით შემდეგი სამუშაოები გასწია:
1. დასრულდა სამთო იალაღებზე ელექტროგადამცემი სისტემის მშენებლობის პირველი ეტაპი თაგინურის, მერიაყელის, კატრიანის, გრძელგორის, ყავრიანისა და ჩირუხის მთების მიმართულებით თანხით 363741 ლარი, შემსრულებელი შპს ზურა-2012; დაწყება 19.10.2016 წელი, დასრულება 20.12.2018 წელი.

2. ტენდერი გაიმართა და ხელშეკრულება გაფორმდება სამთო იალაღების თაგინაურის, მერიაყელის, კატრიანის, გრძელგორის, ყავრიანის შიდა ქსელის მოწყობის ორწლიან შესყიდვაზე, სატენდერო თანხა შეადგენდა 1300000 ლარს. 2019 წლისთვის დაგეგმილია685000 ლარის ათვისება.

3. უახლოეს ხანში ტენდერი გამოცხადდება მაწყვალთის მთისათვის სადენების შეძენაზე და ჩირუხის მთისათვის ბოძების შეძენაზე, თანხით 10000 ლარი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა დასვეს შეკითხვები სამთო იალაღების ელექტროენერგიით მომარაგების საკითხებთან დაკავშირებით და მათ შეკითხვებს უპასუხეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ფრიდონ ფუტკარაძემ და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა დავით დავითაძემ.

დაადგინეს : ცნობად იქნას მიღებული მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ინფორმაცია საგაზაფხულო იალაღებზე ელექტროენერგიით მომარაგების მდგომარეობის შესახებ

მოისმინეს: 3. მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ინფრასტრუქტურის დარგში პრიორიტეტების შესახებ

/მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე - მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარუდგინა შუახევის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ სოფლად მცხოვრებ ადამიანთა

კეთილდღეობის ერთ-ერთ ძირითად პირობად ნორმალური სოციალური პირობების პარალელურად ითვლება აგრეთვე გამართული ინფრასტრუქტურა. კერძოდ, კეთილმოწყობილი გზები, უწყვეტი ენერგო მომარაგება, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, კეთილმოწყობილი ბაგა-ბაღები.

ბოლო წლებში ამ მხრივ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული, შუახევის მუნიციპალიტეტის სამი თემის ცენტრამდე დაეგო შავი საფარი, დანარჩენი თემების ცენტრებამდე მისასვლელი გზების შავი საფარის დასაგებად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. აიგო რამდენიმე ახალი სკოლა და ბაგა-ბაღი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობა. წყალმომარაგების თვალსაზრისით დასრულების პროცესშია ორი მსხვილი პროექტი - ჩანჩხალო-ნიგაზეულისა და ფურტიო-ბუთურაული-ნენიის წყალსადენების მშენებლობა, რისთვისაც 9 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის რეგიონებში ინფრასტრუქტურული ბაზის გაუმჯობესების მიუხედავად ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზული ამოცანებია განსახორციელებელი.

ვთვლით, რომ 2020 წელი მუნიციპალიტეტში უნდა გამოცხადდეს რაიონის ინფრასტრუქტურული ობიექტების შემდგომი სრულყოფის პრიორიტეტულ წლად.

ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ 2020 წლისათვის პირველყოვლისა ყურადღება უნდა გამახვილდეს შიდა სასოფლო გზებისა და სოფლის ბაგა-ბაღების ეზოებისა და სკვერების მოსაწესრიგებლად.

ვიცით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის 17 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სასოფლო გზების ჩამონათვალი, რაც აღრიცხულია აჭარის საგზაო დეპარტამენტის ბალანსზე და შეადგენს 929 კმ-ს, ხოლო გარდა აღნიშნულისა, სოფლის შიდა გზების გარკვეული რაოდენობა მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და ხელმისაწვდომი ინფორმაციით შეადგენს 169 კმ-ს. კონკრეტულად დღეის მდგომარეობით არ არსებობს მუნიციპალიტეტზე დაქვემდებარებული შიდა სასოფლო გზების ჩამონათვალის შესახებ რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი.

თუ ვივარაუდებთ, რომ 2020 წელი უნდა გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების ( შიდა სასოფლო გზები, ბაგა-ბაღების ეზო-მიდამოების კეთილმოწყობა და სხვა) ძირითადი ნაწილის მოწესრიგების დასრულების წლად ასეთ ვითარებაში მიმდინარე წელში უნდა შეიქმნას საჭირო ბაზა მის განსახორციელებლად. უნდა მომზადდეს სახარჯთაღრიცხვო - საპროექტო დოკუმენტაცია, განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი. შიდა გზების კონკრეტული ჩამონათვალი უნდა დადგინდეს, რაც განხორციელდება აჭარის საგზაო დეპარტამენტის მეშვეობით და ცალკე ჩამონათვალი მუნიციპალიტეტის უშუალო შესრულებით.

მიმდინარე წელში უნდა შეისწავლონ ყველა ბაგა-ბაღი, სადაც საჭიროა ბაღის ეზოებისა და ბავშვთა გასართობების მოწყობა.

საჭიროდ მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა ინფორმაციაში მითითებული საკითხები მათი განხორციელების მიზნით აიყვანონ ჯეროვან კონტროლზე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მოიწონეს მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და აგრეთვე მოისმინეს მერიის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაადგინეს: რჩევა მიეცეს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს წინასწარ შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებები, კერძოდ, მომზადდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რათა შეიქმნას შესაბამისი ბაზა 2020 წლისათვის ინფრასტრუქტურული ობიექტების ძირითადი ნაწილის დასრულების მიზნით.

მოისმინეს: 4. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე/

დაადგინეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდეს მიმდინარე წლის მაისის თვეში.

სხდომის თავმჯდომარე: ბ. [signature] / ბეჟან დიასამიძე /

მდივანი: მ. გოგაძე / მზია გოგაძე /